პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 25 მაისი, 1947 წ. № 104 (7888). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის გაძლიერებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).

კიროვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვალდებულებანი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა — სასოფლო საბჭოს მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს (მე-2 გვერდი).

ბ. ლელინი — დავრაზმოთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი ძალები ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად (მე-2 გვერდი).

დ. ჯანელიძე—„სადგურის უფროსი". რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი (მე-3 გვერდი).

ქ. გოფმანი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის გაძლიერებისათვის

იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ დროს მიღებულმა დადგენილებებმა ჩვენს კადრებს განსაკუთრებით ნათლად დაანახვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიისა და თეორიის შესწავლას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილებები ყოველ კომუნისტს კვლავ და კვლავ მოაგონებს — სისტემატურად იმაღლებდეს თავისი თეორიული მომზადების დონეს, მუშაობდეს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. ამ დადგენილებათა საფუძველზე საქართველოს ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ შესამჩნევად გააუმჯობესა პროპაგანდისტული მუშაობა, გააძლიერა ხელმძღვანელობა პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული კადრების მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებისადმი.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გმირულ ისტორიასა და თეორიას ახლა ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანი სწავლობს. შექმნილია პოლიტსკოლები, წრეები, სემინარები, რომლებშიც გამოცდილი პროპაგანდისტების ხელმძღვანელობით ცოდნას იმაღლებს მრავალი კომუნისტი, უპარტიო მშრომელი. ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში ფართოდ გაიშალა მუშაობა პარტიისა და ხალხის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად. საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის ლექტორებმა მარტო მარტსა და აპრილში 40-ზე მეტი ლექცია და მოხსენება წაიკითხეს ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელთათვის. ასევე სისტემატურად იკითხება ლექციები და მოხსენებები ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე სამტრედიაში, ფოთში, ზუგდიდში, ლაგოდეხში და სხვ. ეწყობა საუბრები, კონსულტაციები, გამოფენები მშრომელთა ფართო მასებისათვის.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტულ მუშაობაში კვლავ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა ჯერ კიდევ ყველგან ვერ მიაღწიეს იმას, რომ თვითეული კომუნისტი მუშაობდეს თავის თავზე, იმაღლებდეს თავისი თეორიული მომზადების დონეს. მოწინავე პარტიულ ორგანიზაციაშიც კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, როგორც ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, ისე მის ცალკეულ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები საკმაო კონტროლს არ უწევენ კომუნისტთა თეორიული განათლების საქმეს, ნაკლებად ეხმარებიან მათ. ამის გამო მრავალი კომუნისტი სრულიად არ მუშაობს თავისი თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. უფრო ცუდი მდგომარეობაა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში. პარტბიურო (მდივანი ამხ. ავალიშვილი) ნაკლებად ეხმარება კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის ისტორიას, იშვიათად აწყობს მათთვის კონსულტაციებს, ლექციებს. ესეც არის მიზეზი, რომ მეოთხე საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. უსანეთაშვილი, ინჟინერი ამხ. როსტომოვი, ამხანაგები ჯაშა, სახვაძე, ქარდავა და სხვები უკანასკნელ დრომდე სრულიად არ ზრუნავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის. ქარხანაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებიც. იმ წრეებში, რომლებსაც ამხ. ზატიკიანი და ბერძენიშვილი ხელმძღვანელობენ, ბევრ მსმენელს 10 და მეტი მეცადინეობა აქვს გაცდენილი. წრეების მსმენელთა თეორიული მომზადების დონე დაბალია.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ზოგი პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს პარტიული განათლებისადმი, კადრების იდეურ-თეორიული მომზადების საკითხისადმი. პირველადი პარტორგანიზაციები არასაკმაო მომთხოვნელობას იჩენენ კომუნისტებისადმი, არ უქმნიან მათ საჭირო პირობებს ლექციების, კონსულტაციების, წრეების მოწყობით. ნაკლოვანებანი პარტიული პროპაგანდის დარგში იმითაც აიხსნება, რომ ზოგი საქალაქო და რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს პირველად ორგანიზაციებს, არ აწყობს აქტივის სწავლებას. ბევრი პარტიული კაბინეტი სუსტად მუშაობს, საჭირო დახმარებას ვერ უწევს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, წრეებს, პროპაგანდისტებს. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდი ყველა პარტორგანიზაციის წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით აყენებს მასების კომუნისტური აღზრდის ამოცანას, მტრული იდეოლოგიის ნაშთებისა და გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას. საჭიროა მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაძლიერება, ჩვენი პარტიული და სამეურნეო კადრების, ყოველი საბჭოთა მოქალაქის შეიარაღება ლენინისა და სტალინის დიადი იდეებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმეში წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს, გაგვიადვილებს სიძნელეთა დაძლევას, დაგვეხმარება ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა ქართულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია (მეორე გამოცემა).

წიგნის ტირაჟია 70 ათასი.

სწავლობენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს

ლენინის რაიონში

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ბელადების ბიოგრაფიების შესწავლისათვის. საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მარტო რაიკომის პარტკაბინეტის მიერ ჩატარებულია 42 მოხსენება და ლექცია, რომელსაც 2.893 კაცი დაესწრო.

ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების დამოუკიდებლად შემსწავლელნი უზრუნველყოფილნი არიან კონსულტაციებით, საჭირო რჩევა-დარიგებით და ლიტერატურით. მსურველთათვის შექმნილია წრეები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მომზადებული პროპაგანდისტებით. ეწყობა ექსკურსიები ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში და ქალაქ გორში.

რაიკომის პარტკაბინეტში მოწყობილია ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენა.

ქუთაისი

მშრომლები დიდი ინტერესით ეცნობიან ბოლშევიკური პარტიის ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს. აგიტატორები მუშა-მოსამსახურეებს განუმარტავენ დიდი ბელადების ბიოგრაფიების შესწავლის მნიშვნელობას. აბრეშუმკომბინატში განსაკუთრებით საინტერესო საუბრებს აწყობენ აგიტატორები ე. არჩაია (მოსამზადებელი საამქროს მეორე ცვლის სამასრე განყოფილება), ქ. კეთილაძე (ძაფსალები წარმოების პარკის სახარისხო უბანი), ზ. ლაგოშინა (აბრეშუმის საპენიაო ფაბრიკა) და სხვ. კომბინატის პარტკაბინეტში მოწყობილია ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენის მასალებით ფართოდ სარგებლობენ პროპაგანდისტები და აგიტატორები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ლექტორები სისტემატურად კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს ლენინისა და სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. საქალაქო კომიტეტის პარტკაბინეტში ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები.

კიროვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვალდებულებანი

კიროვის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ამხანაგ სტალინის მიმართულ წერილით, რომლითაც ატყობინებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლის მიღებისა და სახელმწიფო ჩაბარებათა ვადამდე შესრულებისათვის.

კიროვის ოლქის მიწის მუშაკებმა იკისრეს ჰექტარზე მიიღონ საშემოდგომო ჭვავი 60-120 ფუთამდე, ხოლო მოწინავე კოლმეურნეობებში — 180 ფუთამდე. საგაზაფხულო ხორბლის დარგში ნაკისრია ვალდებულება ჰექტარზე მოიყვანონ 60-110 ფუთი ხორბალი, მოწინავე კოლმეურნეობებში—180 ფუთამდე, ხოლო მოწინავე რგოლებში — 204 ფუთამდე. ოლქის მესელეებმა პირობა დასდეს ჰექტარზე სელის ბოჭკო მოიყვანონ 2,7 — 4 ცენტნერამდე, მოწინავე კოლმეურნეობებში — 5-დან 8 ცენტნერამდე, ხოლო მოწინავე რგოლებში — 10 ცენტნერამდე.

კოლმეურნეებმა იკისრეს ოლქში საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 110 ცენტნერი კარტოფილი.

ნაკისრია ვალდებულება 1947 წელს თვითეული ტრაქტორით დაამუშაონ 60 ჰექტარით მეტი 1946 წელთან შედარებით, დაიცვან კარგი ხარისხი და დროზე შეასრულონ ყველა სახის სატრაქტორო სამუშაო.

კიროვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომლებმა იკისრეს ყოველ კოლმეურნეობაში, რაიონსა და მთლიანად ოლქში პურის დამზადების გეგმა და სელის თესლის ჩაბარების გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის და სელის ბოჭკოს ჩაბარების გეგმა — 1947 წლის 30 დეკემბრისათვის.

მეცხოველეებმა ამოცანად დაისახეს აღმოფხვრან მეცხოველეობის ჩამორჩენა. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ 1947 წელს, გასულ წელთან შედარებით, ცხენის სულადობა გაადიდონ 10,2 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი საქონლისა — 16,5 პროცენტით, ღორისა — 81, 7 პროცენტით, ცხვრისა—25,8 პროცენტით, ფრინველისა — სულ მცირე ერთიორად. ნაკისრია ვალდებულება კოლმეურნეობებში გამოზარდონ 25 ათასი მუშა-ხარი. მეცხოველეები პირობას იძლევიან აგრეთვე გაადიდონ წველადობა. მათ იკისრეს მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ ოქტომბრის XXX წლისთავისათვის. (საკდესი).

რსფსრ განათლების სამინისტროში

რსფსრ განათლების სამინისტრო პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად იწვევს პედაგოგიკური და სამასწავლებლო ინსტიტუტების პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკათა კათედრების გამგეთა სრულიად რუსეთის თათბირს. თათბირზე, რომელიც ივნისში შესდგება მოსკოვში, მოწვეული არიან აგრეთვე პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და მისი ფილიალების მეცნიერი მუშაკები.

პლენარულ სხდომებზე მოსმენილ იქნება ორი ძირითადი მოხსენება: განათლების მინისტრ ა. გ. კალაშნიკოვისა — სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მასწავლებელთა პედაგოგიკური მომზადების გაუმჯობესების შესახებ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ კ. ნ. კორნილოვისა — პედაგოგიკურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში პედაგოგიკურ მეცნიერებათა ხაზით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. იმუშავებენ პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკების სექციები. გარდა ამისა, თათბირის მონაწილეთათვის გადაწყვეტილია წაკითხულ იქნას რამდენიმე სამეცნიერო მოხსენება.

* * *

დამტკიცებულია იმ საშუალო სკოლების მეათე კლასების სასწავლო გეგმა, სადაც 1947-1948 სასწავლო წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შემოღებულია ლოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლება.

რუსული ენის, ფსიქოლოგიის, ასტრონომიისა და ხაზვის სწავლებისათვის გადადებულია კვირაში თითო საათი ყოველ დისციპლინაში, ლოგიკის სწავლებისა და ფიზიკური მომზადებისათვის — ორ-ორი საათი, ქიმიისა და უცხო ენის სწავლებისათვის — სამ-სამი საათი, ლიტერატურის, ისტორიისა და ფიზიკის სწავლებისათვის—ოთხ-ოთხი საათი და მათემატიკის სწავლებისათვის—6 საათი. (საკდესი).

სრულიად საკავშირო კონკურსი ერთაქტიან პიესაზე ოქტომბრის 30 წლისთავისათვის

დამთავრდა სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო ერთაქტიან პიესაზე მხატვრული თვითმოქმედების თეატრალური კოლექტივებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავზე. კონკურსი გამოცხადებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მიერ და 5 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

ჟიურიმ, რომელმაც 147 პიესა განიხილა, 2 მეორე პრემია თვითეული 20 ათასი მანეთის რაოდენობით მიაკუთვნა ნ. პოგოდინს პიესისათვის „ლოპოჩკა" და ი. აპუშკინს პიესისათვის „მთის ზღაპარი". 6 მესამე პრემია თვითეული 15 ათასი მანეთის რაოდენობით მიეცათ: ლატვიელ დრამატურგ ა. ბროდელისს, თურქმენ დრამატურგ გ. მუხტაროვს, კ. პაუსტოვსკის, სომეხ მწერალ ნ. ზარიანს, ტ. გაბეს და მ. ცუნქს. ყველა წარმოდგენილი პიესა დაწერილია თანამედროვე საბჭოთა თემებზე. 2 წასახალისებელი პრემია მიეკუთვნა ტ. ნოვიკოვას და ი. იალუნერს.

კონკურსის ჟიურიმ გადაწყვიტა პირველი პრემია არავის არ მიაკუთვნოს.

გამომცემლობა „ისკუსტვო" ცალკე კრებულად გამოსცემს ყველა პრემირებულ პიესას 100 ათასი ცალი ტირაჟით. (საკდესი).

133 ათასი ჰექტარი ახალი ტყის მასივები

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრო წელს დიდ მუშაობას ეწევა ჩვენს ქვეყანაში ტყის მასივების შესაქმნელად და აღსადგენად. 23 მაისისათვის შესრულებულია თესვისა და რგვის ნახევარი წლის გეგმა. დარგულია 133 ათას ჰექტარზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ხე. ყველაზე წარმატებით ჩატარდა ტყის რგვა უკრაინაში, როსტოვის, ტულის, კალუგისა და მთელ რიგ სხვა ოლქებში. (საკდესი).

მევენახეობის აღდგენა უკრაინაში

კიევი, 23 მაისი. (საკდესი). უკრაინის კოლმეურნეობებმა აღადგინეს თავიანთი ვენახების 70 პროცენტი. მათი ფართობი აღემატება 31 ათას ჰექტარს. გაზაფხულზე ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, სტალინოს და ვოროშილოვგრადის ოლქების კოლმეურნეობებში ახალი ვენახები გააშენეს. დარგულია საუკეთესო ჯიშის 2,5 მილიონი ძირი ვაზი.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეთანხმება პორკალა-უდის რაიონზე სარკინიგზო ტრანზიტის შესახებ

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის დელეგაციებს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად, ამა წლის 24 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ფინეთისათვის საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზა პორკალა-უდზე საგზაო და სატვირთო სარკინიგზო ტრანზიტის უფლების მინიჭების შესახებ.

შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის რწმუნებით ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ და ფინეთის მთავრობის რწმუნებით—გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა ბ-ნმა ლ. კაიალაინენმა.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი

დარეჯან ტაკიძემ მახარაძის რაიონში სახელი გაითქვა როგორც ჩაის უხვი მოსავლის ოსტატმა. შარშან მისმა რგოლმა 4 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 14.100 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. წელს დიდი სტალინისადმი გაგზავნილი წერილით დარეჯან ტაკიძემ იკისრა 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 15.000 კილოგრამი ჩაი.

სტახანოველი მერგოლური დარეჯან ტაკიძე.
ფოტო რ. აკოფოვისა.

დარეჯან ტაკიძის რგოლი 5 მაისიდან შეუდგა ჩაის კრეფას. 22 მაისისათვის ამ რგოლს მოკრეფილი ჰქონდა 9.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 2.000 კილოგრამზე მეტი. ჩაის ფოთოლი უხვად შემოდის. ეს გარანტიას იძლევა, რომ ბელადისადმი მიცემული პირობა წარმატებით იქნება შესრულებული.

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციების მოვლას დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით ეს ითქმის დარეჯან ტაკიძის რგოლზე. კარგი მოვლის შედეგია რომ ამ რგოლის პლანტაციაში ჩაის ბუჩქის სიმაღლე 70 სანტიმეტრს აღემატება. ჩაის მოვლის ყველა აგროტექნიკური ღონისძიება — პლანტაციის დაბარვა, გათოხნა, ნიადაგში სასუქის შეტანა და სხვ. — გათვალისწინებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ხორციელდება. წელს რგოლმა ახალი ღონისძიება გაატარა — პლანტაცია წუნწუხით მორწყო. საჭიროების მიხედვით რგოლს ჰექტარზე შეაქვს წყალში გახსნილი ნაკელი 5.000 ვედროს რაოდენობით.

დარეჯან ტაკიძე ჩაის ფოთოლს ყოველდღიურად ჰკრეფს და, ამრიგად, ადგილი არა აქვს ფოთლის გაუხეშებას.

— ზოგ მკრეფავს, — ამბობს ის, — გაიტაცებს სურვილი დიდი რაოდენობით მოკრიფოს ჩაი და კრეფას აწარმოებს არა მარტო ხუთფოთლიან ნორმალურ ყლორტებზე, არამედ სამფოთლიან ყლორტებზე, ან და კიდევ, ნეკზე არ სტოვებს ორ ნორმალურ და თევზა ფოთოლს. ასეთი წესით კრეფა ბუჩქს ისე აზიანებს, რომ მთელ წელიწადს ბუჩქი ვეღარ მოღონიერდება, ნორმალურად ვერ განვითარდება.

დარეჯან ტაკიძის ჩაის პლანტაციაში მოსაკრეფი ფოთოლი ყოველთვის არის. ის ჰკრეფს ხუთფოთლიანი ყლორტებიდან სამფოთლიან დუყს კვირტით, ოთხფოთლიანი ყლორტიდან კი ორფოთლიან დუყს კვირტით.

ჩაის კრეფის ამ წესს რგოლის ყველა 9 წევრი ზუსტად იცავს. მკრეფავი ქალები დილით ადრე მიდიან პლანტაციაში სამუშაოდ. თვითეულ მათგანს მიჩენილი აქვს ჩაის მწკრივები. სტახანოველ ლ. მიმინოშვილს თავისი ორი გოგონაც დაჰყავს სამუშაოზე. დედის ხელმძღვანელობით ბავშვებიც წესიერად ჰკრეფენ ჩაის (8-10 კილოგრამს დღეში). დედა კი დღეში 80 კილოგრამ ჩაის ჰკრეფს. ყოველდღიურად 80-100 კილოგრამ ჩაის ჰკრეფენ თეო და კატო მიმინოშვილები, ნატო დარჩია, ქეთევანი და ლ. ნიკოლაიშვილები.

ასე აღწევენ წარმატებას მერგოლური დარეჯან ტაკიძე და მისი რგოლის სტახანოველები.

ლ. ლოლაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 23 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გუშინდელ სხდომაზე განიხილა ეკონომიური მდგომარეობა და ხაზგასმით აღნიშნა სერიოზული საშიშროება იმის გამო, რომ არსებობს ერთგვარი ოფიციალური ტენდენციები ნებადართულ იქნას ფასების გადიდება, რაც საფრთხეს შეუქმნის საბიუჯეტო წონასწორობას და ვალუტის სტაბილურობას, ამავე დროს კიდევ უფრო გააუარესებს მშრომელი მასების მძიმე მდგომარეობას. ბიურომ გადაწყვიტა მტკიცედ იბრძოლოს ფასების შემცირებისათვის. საშუალო კლასების მდგომარეობით შეუფიქრიანებულმა ბიურომ გადაწყვიტა ენერგიულად გაატაროს თავისი პოლიტიკა საშუალო კლასთა დაცვისა, რომელთა ინტერესების გამოყენება არ შეიძლება მუშათა კლასისა და გლეხთა მასების ინტერესებისაგან. ბიურო სთვლის, რომ ვაჭრებისა და ხელოსნების დემონსტრაციები პროვოკატორებმა გამოიყენეს ნაციონალურ ეკონომიკურ თანამშრომლობას მამხილებელი დოკუმენტების მოსასპობად, და ამხილებს შეთქმულობის ამ ელემენტების საქმიანობას; მათი მოქმედების მიზანია შექმნან ურწმუნოობისა და საფინანსო სიძნელეთა ატმოსფერო, რაც ხელსაყრელი იქნება იმათთვის, ვინც ოცნებობს ბოლო მოუღოს რესპუბლიკურ ინსტიტუტებს. ბიურომ მოუწოდა ფრანგებს — ჩაუშალონ გეგმები არეულობის ინიციატორებს, რომლებსაც სძულთ დემოკრატია და არ ერიდებიან იმას, რომ დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი, საფრთხე შეუქმნან საფრანგეთის დამოუკიდებლობას.

ფინეთში სსრ კავშირის მისიის შენობისათვის ცეცხლის წაკიდების ცდა

ჰელსინკი, 23 მაისი. (საკდესი). როგორც იუწყებიან, ამა წლის 15 მაისს ეჭ უცნობმა ბოროტმოქმედებმა სცადეს ცეცხლი წაეკიდებინათ საბჭოთა მისიის შენობისათვის, რისთვისაც ბოროტმოქმედებმა მისიის შენობის მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში შეაგდეს ცეცხლგამჩენი რაკეტა. ბოროტმოქმედებს იმედი ჰქონდათ, რომ ხანძარს თავის დროზე ვერ შეამჩნევდნენ, რამდენადაც 15 მაისი ფინეთში უქმე დღე იყო და მისია არ მუშაობდა. მაგრამ საბჭოთა მისიის თანამშრომელთა ენერგიულმა მოქმედებამ მეხანძრეთა მეობებით ხანძარი მალე ჩააქრეს.

სსრ კავშირის დესპანმა ფინეთში ა. ნ. აბრამოვმა დაუყოვნებლივ აცნობა ფინეთის მთავრობას ამ შემთხვევის და მოითხოვა ამ საქმის სწრაფად გამოძიება.

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ენკელმა ფინეთის მთავრობის სახელით სინანული გამოუცხადა სსრ კავშირის დესპანს ა. ნ. აბრამოვს მომხდარი ამბის გამო და აცნობა, რომ მთავრობამ ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა სასწრაფოდ მოახდინოს გამოძიება დამნაშავეთა აღმოჩენის მიზნით.

ჩინეთის ხელისუფალნი თვითმფრინავებს გზავნიან მდინარე ხუანხეზე წარმოებულ აღდგენით სამუშაოთა დასაბომბავად

ჩრდილოეთი შენსი, 24 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობაში, რომელიც რადიოთ მიიღეს, ნათქვამია, რომ ჩინეთის ხელისუფალნი კვლავ გზავნიან თვითმფრინავებს მშვიდობიანი მოსახლეობის დასაბომბავად, რათა ხელი შეუშალონ მდინარე ხუანხეზე წარმოებულ აღდგენით სამუშაოებს შანდუნის განთავისუფლებულ რაიონში.

მიტინგები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 24 მაისი. (საკდესი). 22 მაისს ნიუ-იორკში ორგანიზაციის „ამერიკის პროგრესული მოქალაქენი" მიერ მოწვეულ ერთდროულად შემდგარ 20 მიტინგზე გამოსულნი ორატორები გამოდიოდნენ ტრუმენის საგარეო პოლიტიკისა და ანტიდემოკრატიული კანონმდებლობის წინააღმდეგ. ერთ-ერთ მიტინგზე კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა უოტსონმა განაცხადა, რომ მთავრობის ხელმძღვანელი წარმომადგენელნი კერძო საუბრებში „მოურიდებლად ლაპარაკობენ იმისათვის მზადებაზე". უოტსონმა სთქვა, რომ „გაერთიანებული ერების თანამშრომლობის პრინციპს ტრუმენის დოქტრინამ უსასტიკესი დარტყმა მიაყენა". მან განაცხადა, რომ ევროპის ხალხი მადლობას არ უგზავნის შეერთებულ შტატებს „ტრუმენის დოქტრინისათვის".

სხვა ორატორთა შორის მიტინგებზე გამოვიდნენ დრამატურგი ლილიან ჰელმანი, რადიოკომენტატორები ეოლიში და კენგდონი, ზანგი მსახიობი ლი. ყველა მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ტრუმენმა ვეტო დაადოს ანტიმუშურ კანონპროექტს, აგრეთვე რომ სენატორმა ივსმა (რესპუბლიკელი ნიუ-იორკის შტატიდან) მხარი დაუჭიროს ვეტოს. მიტინგების დამსწრე მრავალი ასეული ადამიანი წევრად შევიდა ორგანიზაციაში „ამერიკის პროგრესული მოქალაქენი".

ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲕᲐᲛᲣᲨᲐᲕᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ

(ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ)

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: საავტომობილო ქარხნის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის XVI და XVII პლენუმების დადგენილებათა შესრულების შედეგები და პარტიაში მიღების ანგარიში.

პირველ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ საავტომობილო ქარხნის მშენებლობის უფროსი ამხ. ს. ოდიშარია და საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. ბუკია.

— საქალაქო კომიტეტის XVI და XVII პლენუმების დადგენილებათა შესასრულებლად, — სთქვა ამხ. ოდიშარიამ, — სერიოზული მუშაობაა გაწეული. პირველ რიგში განვახორციელეთ აგურის ქარხნის რეკონსტრუქცია. მისი საწარმოო სიმძლავრე ავიყვანეთ 7 მილიონ ცალ აგურამდე წელიწადში, მოვაწყეთ წიდის ბლოკის დამამზადებელი ქარხანა, ჩამოვაყალიბეთ მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტექნიკური წრეები, გავაძლიერეთ წყალსადენის მშენებლობის ტემპები. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქარხნის კორპუსების მშენებლობის ტემპი. მშენებლობის კოლექტივმა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულა 1946 წლის მეოთხე კვარტალის დავალებანი, დაფარა გასული წლის პირველი ნახევრის ჩამორჩენა, მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა და პირველი პრემია 200.000 მანეთის რაოდენობით.

მომხსენებელი ეხება 1947 წელს მშენებლობის ცალკეული ობიექტების მუშაობას. იგი აღნიშნავს, რომ მშენებლობის ნორმალურად წარმართვას აბრკოლებს კვალიფიციური მუშახელის სიმცირე, ავტოტრანსპორტისათვის საკმაო საფრების უქონლობა, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, საერთო მომარაგების განყოფილებათა და მექანიზაციის კანტორის მოუქნელი მუშაობა. სათანადოდ ვერ მუშაობს მშენებლობის კვების ქსელიც.

წელს უნდა დავამთავროთ სარემონტო-სამსხმელო, სარემონტო-სამჭედლო, სამექანიკო-საამწყობო საამქროები. ამასთან ქარხანას უნდა გადავცეთ ცხრა ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 7 ნოემბრისათ- [illegible]

ჩვენი ამოცანაა დავაჩქაროთ კვალიფიციური კადრების მომზადება, უზრუნველვყოთ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

სიტყვას იღებს საავტომობილო ქარხნის კაპიტალურ მშენებლობათა მთავარი ინჟინერი ვ. მაგარინი.

— მშენებლები ჯერ კიდევ ნელი ტემპით მუშაობენ. მაგალითად, სარემონტო-მექანიკური კორპუსის მშენებლობა ძლიერ გაჭიანურდა. შესრულებული სამუშაოების ხარისხიც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა მშენებლებმა სრულად გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალები, ფართოდ დანერგონ მექანიზაცია და ამით უზრუნველჰყონ წელს ყველა საამქროს დამთავრება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. სტურუა ლაპარაკობს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე და განსაკუთრებით ჩერდება კადრების თეორიულ სწავლებაზე.

— საავტომობილო ქარხნისა და მშენებლობის პარტორგანიზაციებს, — ამბობს იგი, — მუშაობაში ერთგვარი მიღწევები აქვთ. გაძლიერდა მუშაობა კადრების იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. მეტი ყურადღება ექცევა ლექციების, კონსულტაციებისა და თეორიული საუბრების მოწყობას. ქარხნის მშენებელთა აქტივისათვის შექმნილია მუდმივ მოქმედი სემინარი. სემინარის მეცადინეობა სისტემატურად ეწყობა, მაგრამ ბევრი ამხანაგი მას არ ესწრება. საავტომობილო ქარხანაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული მუდმივ მოქმედი სემინარი. სუსტად მუშაობს ზოგიერთი პოლიტწრე. ეს ნაკლოვანებანი პარტბიუროს მდივნებმა დროულად უნდა გამოასწორონ და არსებით გაუმჯობესებას მიაღწიონ კადრების თეორიული დონის ამაღლების საქმეში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა ნ. კიკაჩეიშვილმა (პარტიის საქალაქო კომიტეტი), ი. ანდერსმა (საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი), ვ. კერესელიძემ (მშენებლობის პირველი ობიექტი), ქ. გონიაშვილმა (მშენებლობის მესამე ობიექტი), გ. კურცხალიამ (მშენებლობის [illegible]

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ. [illegible]

ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

[illegible] სობა, რამაც დააბრკოლა ქვანახშირის გამოზიდვა. სამუშაოზე გამოდიოდა ვ. ცეცხლაძის ცვლა. მუშაობის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, როგორც ყოველთვის, გაიმართა ამ ცვლის საწარმოო თათბირი. მეშახტეებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა უშლის მათ ხელს დავალების შესრულებაში და აღნიშნეს, თუ რა ღონისძიების განხორციელება იყო საჭირო. თათბირზე შემოტანილ წინადადებათა საფუძველზე უბნის უფროსმა ნ. ციცხვაიამ შეადგინა სტახანოვური განრიგი, რომლის მიხედვითაც ცვლას ნაცვლად 50 ტონისა, უნდა ამოეღო 70 ტონა ქვანახშირი. გაისმა საყვირის ხმა, ცვლა მუშაობას შეუდგა. ის ხელისშემშლელი მიზეზები, რაც თათბირზე აღინიშნა, ორ-სამ საათში აღმოფხვრილ იქნა. მუშაობის დაწყებიდან ხუთი საათის შემდეგ ცვლას უკვე გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული სტახანოვური განრიგით დაწესებული გეგმა. ამ დღეს ცვლამ დიდი წარმატება მოიპოვა — ამოიღო [illegible] 126 პროცენტით შესრულა. სტახანოვური განრიგით მუშაობის შედეგად 13 მაისს პირველმა უბანმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიურომ ამას წინათ განიხილა საკითხი შახტებში სტახანოვური განრიგით მუშაობის ფართოდ გავრცელების შესახებ. ამ დადგენილების შემდეგ შახტების პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა სტახანოვური განრიგის მიხედვით მუშაობის მტკიცედ დანერგვისათვის. მაგრამ ამ მხრივ ნაკლოვანებანი კიდევ ბევრია.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სტახანოვური განრიგით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებათა დროულად განხორციელებას. მაშინ უფრო საგრძნობი გახდება ამ მეთოდით მუშაობის დიდი უპირატესობა.

ს. მერკვილაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ 20-ᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ყოველ საწარმოში მრავალი ახალი მუშა დაწინაურდა 1947 წლის გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. თბილისის რადიოქარხნის ათობით სტახანოველს უკვე შესრულებული აქვს 6, 8 და 10 თვის დავალება, ხოლო უკანასკნელად შეჯამებული ცნობებით 20 მაისისათვის 20 სტახანოველს უკვე განაღდებული ჰქონდა მიმდინარე წლის გეგმა.

წლიური საწარმოო დავალებები შესრულებული აქვთ: ზეინკლებს დ. მაისურაძეს და შ. ბოჭორიშვილს, ხარატებს ლ. ქეშიშევს და ს. არუთინოვს, დეტალთა თერმული დამუშავების ოსტატს ი. ნოვოსელცევს, აპარატების ამწყობს გ. რუდნევს და სხვებს.

უახლოეს დღეებში წლიური გეგმის შესრულებაში დაწინაურებული ეს სტახანოველები გადაჰყავთ ახალი აპარატის ათვისებაზე. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები ამჟამად ამუშავებენ ამ აპარატის დეტალთა ტექნოლოგიას.

ქ. ვასაძე

საბჭოთა მშენებლობა

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲡ

შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კაბინეტში ვნახეთ. გვინდოდა გაგვეგო როგორ ხელმძღვანელობს საბჭო საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ვიკითხეთ როგორ მიმდინარეობს ნათესების მოვლა-დამუშავება.

— როგორ გითხრათ, ამხანაგო, — გვიპასუხა მან, — ეს ორი დღეა კოლმეურნეობებს ცნობები არ წარმოუდგენიათ. მე კი შესაძლებლობა არ მომეცა პირადად შემემოწმებინა მდგომარეობა. ხომ იცით, ახლა ისეთი პერიოდია, რომ საბჭოს თავს ვერ დავანებებ. ცნობებს ახლავე მოვატანინებ. ოღონდ ცოტა მომიცადეთ.

თავმჯდომარე დავარწმუნეთ, რომ ეს არ იყო საჭირო — ჩვენ თვითონ ვინახულებდით კოლმეურნეობებს, და საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს გავეცანით.

სასოფლო საბჭოს სესია 1945-1946 წლების მანძილზე მხოლოდ ორჯერ ჩატარებულა, წელს კი არცერთხელ. საბჭოს 17 დეპუტატიდან ადგილზეა 12. ყოველთვის იყო სესიების ჩატარების შესაძლებლობა, მაგრამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ეს არ გაკეთებულა.

თუმცა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. წიგნაძე ორი წელია ამ საპატიო პოსტზე იმყოფება, მაგრამ დღესაც კარგად არ ესმის თავისი მოვალეობა. აღმასკომს სამუშაო გეგმა არა აქვს. ამიტომაც აღმასკომის სხდომებზე უმთავრესად იხილავენ განცხადებებსა და საჩივრებს. საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. არცერთ კომისიას დღემდე არავითარი მუშაობა არ გაუწევია. მათი სხდომები სრულებით არ შემდგარა. მოუწესრიგებელია აგრეთვე საბჭოს აღმასკომის საქმის წარმოება. ოქმები ცუდად არის გაფორმებული. 1946 წლის №№ 10, 12, 13, 14, და 15 ოქმები თავმჯდომარის მიერ გაუსინჯავი და ხელმოუწერელია.

სასოფლო საბჭო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მასში შემავალ 4 კოლმეურნეობას. თუ ეს კოლმეურნეობები სუსტად იბრძვიან მოსავლიანობის გადიდებისათვის, ეს საბჭოს არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგიც არის. მაგალითად, ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 60 ჰექტარი სიმინდიდან 20 მაისისათვის გათოხნილი ჰქონდა მხოლოდ 3 ჰექტარი, კოლმეურნეობა „დამკვრელს" 35 ჰექტარიდან 4 ჰექტარი, ხოლო შრომისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებს ამავე რიცხვისათვის არც კი ჰქონდათ სიმინდის თოხნა დაწყებული.

საბჭოს აღმასკომს კავშირი არა აქვს დეპუტატებთან, მუშაობაში არ იყენებს აქტივს. ამით აიხსნება მის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

სოფლო საბჭოს სუსტად ხელმძღვანელობს თელავის რაისაბჭოს აღმასკომი. შესაძლებელია გვითხრან: რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი ამხ. თ. ბაბუნიძე დაიარება ხოლმე შალაურშიო, მაგრამ რა აზრი აქვს სიარულს, თუ მას საბჭოს მუშაობის გაუმჯობესება არ მოჰყვება.

თელავის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა კონკრეტული ღონისძიებანი უნდა დასახონ შალაურის სასოფლო საბჭოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ქ. იარალოვი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გორის რაიონის მეჯვრისხევის სასოფლო საბჭომ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სოფლის კეთილმოსაწყობად.

სოფლის მშვენებად და მშრომელთა საუკეთესო დასასვენებელ ადგილად გადაიქცა კულტურისა და დასვენების ბაღი, სადაც ამასწინათ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მონუმენტი აღმართეს. ბაღში მოწყობილია შადრევანი და ყვავილთა გაზონები. ბაღი შემოღობილია და კარგად არის მოვლილი.

სასოფლო საბჭოს ინიციატივით აშენდა და ამასწინათ ამუშავდა აბანო, რომელიც მომსახურებას უწევს მთელ სოფელს. სოფლის ცენტრში მოეწყო აგრეთვე ფიზკულტურის მოედანი, სადაც კვირა საღამოობით იმართება ფეხბურთი, ჭიდაობა და მრავალი სახის გართობა-თამაშობა.

წარმატებანი სოფლის კეთილმოწყობის საქმეში იმის შედეგია, რომ სასოფლო საბჭოს თავის გარშემო მტკიცედ ჰყავს შემოკრებილი დეპუტატები და აქტივი.

მ. ხომასურიძე

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მახარაძის რაიონიდან კორესპონდენტი გვწერდა, რომ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გაბრიელ კვაჭაძე, რომელიც ამავე დროს მუშაობდა ბრიგადირად, უკანონოდ იწერდა შრომადღეებს, არ ცხადდებოდა სისტემატურად სამუშაოზე და სხვ.

კორესპონდენცია შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა და საკითხი ამა წლის 14 მაისს განიხილა რაიკომის ბიურომ.

რაიკომის ბიუროს დადგენილებით რჩევა მიეცა კოლმეურნეთა საერთო კრებას, რომ კვაჭაძე მოხსნას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობიდან და ჩამოაწეროს უკანონოდ დაწერილი შრომადღეები.

ᲓᲐᲕᲠᲐᲖᲛᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული მოწოდების პასუხად თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლის თავისათვის — 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. მრავალი საწარმო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებს. საწარმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით იბრძვიან დიმიტროვის სახელობის, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი, ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო და მთელი რიგი სხვა ქარხნები.

მთლიანად თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების აპრილის გეგმა შესრულა 106,8 პროცენტით, ხოლო ოთხი თვისა — 103,8 პროცენტით. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის საწარმოებმა 4 თვის გეგმა შესრულეს 101,7 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 107,4 პროცენტით, საკავშირო დაქვემდებარების ლითონდამმუშავებელმა საწარმოებმა — 107,5 პროცენტით. ეს მაჩვენებლები ცუდი როდია, მაგრამ ამავე დროს ისინი მოწმობენ, რომ აღებული ტემპები სრულიად არასაკმარისია 1947 წლის საწარმოო გეგმების 7 ნოემბრისათვის შესრულების უზრუნველსაყოფად.

საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა ანალიზი უნდა გაუკეთონ გაწეულ მუშაობას, შეადარონ მიღწეული შედეგები ნაკისრ ვალდებულებებს და მიიღონ ზომები მუშაობის ტემპის თანდათანობით ყოველდღიურად გაძლიერებისათვის. მოწინავე სტახანოველებთან და ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად საჭიროა შემუშავებულ იქნას კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის განსახორციელებლად, მოწინავე ტექნოლოგიის დასანერგავად, მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრის გამოსაყენებლად. აუცილებელია ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯიბრებას მუშებს შორის, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს დაწინაურდნენ, მოვაწყოთ სისტემატური კონტროლი, თუ როგორ ასრულებს ვალდებულებას თვითეული მუშა, საამქრო, და ცვლა, ოპერატიულად მივიღოთ ზომები შემაფერხებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებული როლი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ეკუთვნით საწარმოებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოების იმ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკურ, საკონსტრუქტორო, საწარმოო, შრომისა და ხელფასის განყოფილებებში, აგრეთვე საამქროთა ტექნოლოგებს, ოსტატებს, ცვლათა, უბანთა და საამქროთა უფროსებს. სტახანოველი მუშა, რომელმაც იკისრა სერიოზული ვალდებულება — ვადამდე შეასრულოს წლიური გეგმა, — ბუნებრივია, ეძებს ახალ საშუალებებს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, დაზგების უკეთესად გამოყენების მისაღწევად. მუშა ცდილობს გამოიყენოს ყველა ის გაუმჯობესებანი, რაც მას გაუადვილებს შრომას, საწარმოო დავალების შესრულებას. სწორედ ამ მხრივ იგი საჭიროებს ინჟინერ-ტექნიკოსების, ტექნოლოგების, ოსტატების, საამქროთა ხელმძღვანელების დახმარებას.

დედაქალაქის საწარმოებში ცოტანი როდი არიან ისეთი ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც გაბედულად წინ სწევენ ტექნიკას, ნერგავენ მოწინავე ტექნოლოგიას, იყენებენ ახალ ხელსაწყო-მოწყობილობას, აუმჯობესებენ წარმოების ორგანიზაციას და ჰქმნიან ყველა პირობას ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა, კერძოდ ტექნოლოგებმა. როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს ამ ქარხანამ დაზგის „დიპ-300"-ის სერიული გამოშვების გადიდებასთან ერთად უნდა აითვისოს 17 სხვადასხვა ტიპის მაღალი წარმადობის დაზგათა გამოშვება. ქარხნის ტექნოლოგების წინაშე წამოიჭრა ყველა ტიპის დაზგის ტექნოლოგიური დოკუმენტაციის დამუშავების საჭიროების საკითხი. მათ შეიმუშავეს მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები შრომის ტევადობის შესამცირებლად, როგორც სერიული დაზგების „დიპ-300"-ის გამოშვების დასაჩქარებლად, ისე სხვა ახალი დაზგების წარმოების ათვისებისა და მასობრივად დამზადების გასაადვილებლად. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა შესძლეს სულ მოკლე დროში განეხორციელებინათ მრავალი სიახლე: ლილვების მრავალსაჭრისიან დაზგაზე დამუშავება, დეტალთა ცივად და ცხელად დატვიფრვა, დიდ დეტალთა ზედაპირების პროფილური გარანდვა და სხვ. ამ და მთელ რიგ ანალოგიურ ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დაზგა „დიპ-300"-ის გამოშვებაზე გასულ წელთან შედარებით ორჯერ ნაკლები შრომა იხარჯება.

ახალი ტექნიკისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ინჟინერ-ტექნიკოსებმა ამხ. შარაფიანმა, რუსაძემ, თათარიშვილმა, ბერიშვილმა, კულაევამ და სხვებმა.

თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოებში 1.500-ზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი მუშაობს. ეს დიდი ძალაა და მის გამოყენებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მრეწველობაში ურალელი ტექნოლოგის ალექსანდრე ივანოვის ძვირფასი გამოცდილების გავრცელებას. ამხ. ა. ივანოვმა დაამუშავა საჭრაქტორო მუხლუხათა რგოლების დამზადების ახალი მეთოდი, რისთვისაც მან გამოიყენა არსებული დაზგა-დანადგარები მათზე ახალი ხელსაწყოების მორგების შემდეგ. ამხ. ივანოვმა უჩვენა მუშებს, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე ისე, რომ კაპიტალური ხარჯების გაუწევლად გავადიდოთ დაზგა-დანადგართა წარმადობა და თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება. მოწინავე ტექნოლოგის ამ წამოწყებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ურალის კიროვის სახელობის ქარხანაში, სადაც იგი მუშაობს, დაზგების საპროექტო სიმძლავრე ახლა 75 პროცენტითაა გადიდებული. ამასთან ორმაგად გადიდდა მუშათა შრომის ნაყოფიერება და საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამიტომაა, რომ ამხ. ივანოვის ინიციატივამ ესოდენ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის. შემოქმედებითს შრომაში ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის ჩაებნენ ჩვენი დიადი ქვეყნის ათასობით და ათიათასობით ინჟინერ-ტექნიკოსები. თბილისის საწარმოთა სპეციალისტები მოწოდებული არიან გამოეხმაურონ ამ ინიციატივას, გააჩაღონ მუშაობა გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დასანერგავად, დაეხმარონ მუშათა მასებს საოქტომბრო ვალდებულებების წარმატებით შესრულების საქმეში.

წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, მაღალნაყოფიერი ხელსაწყოების გამოყენების მხრივ თბილისის მთელ რიგ საწარმოთა წინაშე განსაკუთრებით სერიოზული ამოცანები დგას. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, მაგალითად, ორთქლმავალთა აწყობის ტექნოლოგია, აგრეთვე, მთელ რიგ დეტალთა დამუშავების მეთოდები ძლიერ მოძველებულია. ბევრ შემთხვევაში ორთქლმავლის ნაწილებს ისევ მამაპაპური წესით, კუსტარულად აკეთებენ, ხოლო ინჟინერ-ტექნიკოსები ჩაბმული არ არიან ძველი ტექნოლოგიის შესაცვლელად, წარმოების პროცესების გასაუმჯობესებლად საჭირო მუშაობაში. ქარხანაში ხშირია ინჟინერ-ტექნიკოსებისა და ტექნოლოგების არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები. ტექნოლოგებს აქ იყენებენ დისპეტჩერებადაც, ნორმადარებადაც, ხოლო ზოგჯერ ისინი ფიზიკურ სამუშაოსაც ასრულებენ. ქარხნის დირექცია და საქარხნო პარტიული ორგანიზაცია ვალდებული არიან უმოკლეს დროში გამოასწორონ ეს ნაკლოვანებები და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები უფრო აქტიურად ჩააბან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ინჟინერ-ტექნიკური ძალების გამოყენების საქმეში მსგავს ნაკლოვანებებს ადგილი აქვს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ, საინსტრუმენტო, ავტოსარემონტო და თბილისის მთელ რიგ სხვა ქარხნებში.

საწარმოთა დირექტორების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა ინჟინერ-ტექნიკოსებს ყველა პირობა შეუქმნან მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. მათ სწორად, მიზანშეწონილად უნდა გამოიყენონ სპეციალისტები, მხარი დაუჭირონ მათს სასარგებლო ინიციატივას, წაახალისონ ისინი, მოახდინონ მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაცია.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა მოძრაობას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ დანერგილ იქნას მოწინავე ტექნიკა, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, უზრუნველყოფილ იქნას მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულება.

საჭიროა მივაღწიოთ ყველა ინჟინერ-ტექნიკოსის, ყველა ტექნოლოგის ჩაბმას ამხ. ივანოვის პატრიოტული ინიციატივის გავრცელებაში. უნდა მოვახდინოთ ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი ცოდნისა და გამოცდილების მობილიზაცია, გამოვიყენოთ მათი შემოქმედებითი უნარი მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის შესასრულებლად.

ბ. ლოლიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში

„სადგურის უფროსი“
რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი

პიესის ავტორი ი. მოსაშვილი, დამდგმელი ჯგუფი: რეჟისორი — ა. ვასაძე, მხატვარი — დ. კაკაბაძე, კომპოზიტორი — ი. ტუსკია

პიესის „სადგურის უფროსის“ მოქმედება ვითარდება ჩრდილო-კავკასიაში 1942 წელს. სადგური ორლოვკა. მტერმა სადგურს ზურგიდან შემოუარა. საბჭოთა არმიის ნაწილებმა უფრო

[illegible]

გადასარჩენად და პარტიულ ორგანიზაციასთან კავშირის აღსადგენად ორლოვკაში ლეიტენანტ ბორის ვოლკოვს გზავნის. შემოჰყავთ ქალი. მან დამიფრული ბარათით რაიკომის მდივნის განკარგულებანი მოიტანა.

ორლოვკაში. ღამეა. კუზმიჩის სახლი. კუზმიჩის ცოლი პელაგია (თ. ჭავჭავაძე) უსაყვედურებს, სადგურის უფროსს რად მეგობრობდით, ნანობს, რომ მის ვაჟიშვილს საცოლედ ლევანის ქალიშვილი ჰყავდა. შემორბის მარინე. შურაევის ნათქვამს აქაც ადასტურებს.

[illegible]

თეატრის ყველა საშუალებანი გამოუყენებიათ აღმზრდელობითი მნიშვნელობის სპექტაკლის შესაქმნელად. მათ მიზანს მიაღწიეს. სპექტაკლმა მაყურებელთა დარბაზში ერთსულოვანი ინტერესი აღძრა.

პიესის დედაარსის მკაფიოდ და ნათლად გამოხატვის შესაბამისად არის განაწილებული როლები. ყველა მხატვრული საშუალება სპექტაკლის გასამდიდრებლად არის გამოყენებული. რეჟისორული შემოქმედების თვალსაზრისით დიდი შთამბეჭდავი ძალისაა

[illegible]

თიაყვება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის სხვა დადგმები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აღვნიშნოთ, რომ თეატრის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს ხელოვნების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

დ. ჯანელიძე

თბილისი. 1 მაისისათვის თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 9.800 წყვილი ფეხსაცმელი. სურათზე — კონტროლიორი ტ. გაწერელია და ამრიცხველი ა. მელნიკოვა ამოწმებენ ფეხსაცმლის ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მასობრივი შემოწმება

თბილისის ლითონდამმუშავებელ, დაზგათმშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებში მიმდინარეობს ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

ქარხნებში იწვევენ მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კრებებს, სადაც ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე მოხსენებებით გამოდიან საწარმოთა ხელმძღვანელები.

კრებები უკვე ჩატარდა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ, თბილისის ავტოსარემონტო, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნებში და ქარხანა „დაზგამში“. ამ კრებებზე დასახულია ღონისძიებანი დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისათვის წლიური გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

მაისის მეოთხე ხუთდღიურში საქართველოს სსრ ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 196,4 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად პირველ ხუთდღიურში მოკრეფილი 72,5 ტონისა. 20 მაისისათვის ჩაის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული აქვთ 45,8 პროცენტით.

წინ არის მოქვის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ჩაის კრეფის ორი თვის გეგმა შესრულებული აქვს 91,7 პროცენტით. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობას გეგმა 80,8 პროცენტით აქვს შესრულებული, წულუკიძისას — 80.7, ნასაკირალისას — 64,4, წალენჯიხისას — 63,7, დიდი ჯიხაიშის საბჭოთა მეურნეობას — 63 პროცენტით.

ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობამ აპრილ-მაისის გეგმა მხოლოდ 3,4 პროცენტით შეასრულა

[illegible]

კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი

[illegible]

საერთაშორისო მიმოხილვა

22 მაისს პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც მოქმედებას იწყებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მოწონებული კანონი საბერძნეთისა და თურქეთისათვის საფინანსო „დახმარების“ გაწევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების პროგრესული წრეები კვლავ აღნიშნავენ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკას „ახალი კურსის“ განხორციელება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა

[illegible]

ლობს ახსნას ამერიკის ... თუ რატომ არ ... შეერთებული შტატები ... ვიანთი ახალი გეგმები განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით და იმოწმებენ იმ გარემოებას, თითქოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „ნაკლებ მოძრავი“ და „ეკონომიურად სუსტი“ ორგანიზაციაა. „ტრუმენის დოქტრინის“ მომხრეები ამავე მოტივს აყენებდნენ საბერძნეთისა და თურქეთის შინაურ საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გასამართლებლა-

[illegible]

საქ რთველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

28, 29 და 30 მაისს შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მორიგი სამეცნიერო სესია.

[illegible]

29 მაისს: არქიტექტორი აკადემიკოსი ნ. სევეროვი — „სამთავისის ტაძრის გუმბათის ყელის რეკონსტრუქცია“;

[illegible]

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები საქართველოს რაიონებში

საქართველოს გეოლოგიურმა სამმართველომ წელს განაახლა კუდაროს (ჯავის რაიონი) ბარიტის საბადოების გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები (ექსპედიციის ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ევ. გაბუნია). გასული წლის ბოლოს გეოლოგიური სამმართველოს ინჟინერ ი. ჩხაკ-

[illegible]

ებრაელთა ორგანიზაციების გამოხმაურება ა. ა. გრომიკოს მიერ გენერალური ასამბლეის სესიაზე პალესტინის საკითხის შესახებ წარმოთქმული სიტყვის გამო

ნიუ-იორკი, 22 მაისი. (საკდესი). საბჭოთა წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში ა. ა. გრომიკომ პალესტინას საკითხის შესახებ გენერალური ასამბლეის სესიაზე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ მთელი რიგი მისასალმებელი დეპეშები მიიღო სხვადასხვა ქვეყნის ებრაელთა ორგანიზაციებისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების ებრაელ მუშათა ამერიკული საბჭო (რომელშიც ირიცხება 75 პროფკავშირად გაერთიანებული 1,5 მილიონი წევრი) თავის მისალმებაში სწერს, რომ „პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის საბჭოთა წინადადება სავსებით ასახავს ჩვენს მისწრაფებას. თქვენი ზრუნვა ჩვენი ძმების ბედისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებში, და კონსტრუქციული წინადადება ფაშიზმის ამ მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის შესახებ სავსებით შეესაბამება ყველა ჩაგრულ ხალხთან მეგობრობის დიად საბჭოთა ტრადიციას. ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყანა მხარს დაუჭერს თქვენს რეკომენდაციებს, რომლებსაც მოიწონა ებრაელი ხალხის დიდმა უმრავლესობამ“.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მექურქე და მეტყავე მუშათა პროფკავშირი, რომელიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედის და 40 ათას წევრს აერთიანებს, თავის მისალმებაში სწერს: „მიიღეთ ჩვენი გულითადი მადლობა პალესტინისა და ებრაელი ხალხის მიმართ საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ თქვენი განცხადებისათვის. თქვენი პრაქტიკული წინადადება ამ რთული და მწვავე პრობლემის გადაწყვეტის შესახებ შეესაბამება კარგად ცნობილ პოლიტიკასა და პრინციპებს თქვენი დიადი ქვეყნისას, რომელიც გამოდის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და იცავს ყველა ერის თავისუფლებას და ბარბაროსული ფაშიზმისა და რეაქციის ებრაელ მსხვერპლთა მიმართ ჰუმანურ მოპყრობას. მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ ჩვენი დიდი ქვეყნის წარმომადგენელმა არ გაიზიარა თქვენთან ერთად პატივი წამოეყენებინა მსგავსი წინადადება ებრაელი ხალხისა და პალესტინის პრობლემის შესახებ. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ გაერთიანებული ერების წევრი ყველა ქვეყანა მიხვდება თქვენ მიერ წამოყენებული წინადადების სისწორესა და კანონიერებას“.

პალესტინის „ლიგა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობისა“ ტელ-ავივიდან საბჭოთა საელჩოს ვაშინგტონში მიესალმება და სწერს, რომ ლიგა „გამოსთქვამს არა მარტო თავისი წევრების, არამედ პალესტინის ებრაელი ხალხის ყველა ფენის დიდ მადლობას გრომიკოს ისტორიული განცხადებისათვის გენერალური ასამბლეის სესიაზე, რომელშიც მან სიმართლე სთქვა და ცხადჰყო ჰიტლერიზმის პირველი მსხვერპლის — ებრაელი ხალხის დიდი ხნის ტანჯვის ღრმა გაგება. გრომიკოს განცხადება მკვეთრი საყვედურია გაერთიანებული ერებისადმი იმის გამო, რომ ისინი ევროპაში გადარჩენილ ებრაელთა ბედს გულგრილად ეკიდებიან. ეს განცხადება აღიარებს მათს უფლებას, რომელიც წარმოადგენს მთელი ებრაელი ხალხის ეროვნული ავტონომიის უფლებას მათ საკუთარ ქვეყანაში, აღიარებს, რომ დიდი ხანია დამკვიდრდა ებრაელი ხალხის კავშირი მის ისტორიულ სამშობლო პალესტინასთან. გრომიკოს განცხადებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც მუშათა სოციალისტური ქვეყანა, წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის ბურჯს და ნამდვილ მეგობარს დიდი თუ მცირე ყოველი ხალხისას, რომელიც ისწრაფვის ავტონომიის, თავისუფლებისა და მშვიდობისაკენ“.

ქალაქ იამბოლის (ბულგარეთი) ებრაელთა კომიტეტი მისალმებაში სწერს: „ქალაქ იამბოლის ებრაელი მოქალაქენი თქვენი მეშვეობით მადლობას უცხადებენ დიდ საბჭოთა კავშირს, რომელმაც დაიცვა ებრაელთა პრობლემის გონივრული და დემოკრატიული გადაწყვეტის პოზიცია. საბჭოთა მთავრობა და ბრძენი მეთაური სტალინი ჩვენ მიგვაჩნია მცირე ერების ნამდვილ დამცველად და სსრ კავშირის ხალხთა განმათავისუფლებლად“.

უოლესის გამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). უოლესის გამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში ხალხის არაჩვეულებრივ თავმოყრას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ უოლესს კვლავ აქტიურად უჭერენ მხარს მოსახლეობის ფართო ფენები. მრავალი თვის განმავლობაში მემარჯვენე პრესა ცდილობდა საბელი გაეტეხა უოლესისათვის, ჩაეგდო იგი სასაცილო მდგომარეობაში. შემდეგ პრესამ სცადა იმავე მიზნისათვის მიეღწია სხვა საშუალებებით —დუმილით, აქვეყნებდა რა მხოლოდ მოკლე ანგარიშებს მის გამოსვლათა შესახებ ან სულ არაფერს იუწყებოდა.

მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს. მიუხედავად პრესის დუმილისა, უოლესმა შეინარჩუნა უდიდესი პოპულარობა, რაც იმით აიხსნება, რომ იგი მილიონობით ლიბერალი და პროგრესისტი ამერიკელის შეხედულებასა და მისწრაფებას გამოხატავს.

ჩიკაგოში უოლესის გამოსვლებმა მიიზიდა 20 ათასი კაცისაგან შემდგარი აუდიტორია, ლოს-ანჟელოსში — 27 ათასი კაცი. მის გამოსვლებს სხვა ქალაქებშიც ხალხის უპრეცედენტო დიდი რაოდენობა ესწრებოდა.

ჟურნალი „ნიუ რიპაბლიკი“, რომელიც აქვეყნებს უოლესის მოგზაურობის შედეგებს დღემდე, აღნიშნავს, რომ უოლესის გამოსვლას კლივლენდში 2 მაისს დაესწრო 4.000 კაცი, ხოლო 1.500 კაცი უშედეგოდ ცდილობდა ხალხით გაჭედილ დარბაზში შესულიყო.

12 მაისს უოლესი გამოვიდა მინეაპოლისში, „სივიკ აუდიტორიუმის“ შენობაში 6 ათასი კაცის წინაშე. სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლების მრავალი წლის მანძილზე ეს შენობა პირველად იყო ხალხით სავსე.

13 მაისს მინესოტის უნივერსიტეტში 2.500 სტუდენტი დაესწრო უოლესის გამოსვლას. ათასზე მეტმა სტუდენტმა ვერ შესძლო შესულიყო ხალხით გაჭედილ აუდიტორიაში.

14 მაისს ჩიკაგოს 20.000 მცხოვრებმა იყიდა ფასიანი ბილეთი, რათა დასწრებოდა უოლესის გამოსვლას ჩიკაგოს სტადიონზე. ისინი პირველად იძენდნენ ფასიან ბილეთებს სტადიონზე პოლიტიკური სიტყვის მოსასმენად. 2.000-ზე მეტი კაცი ვერ შევიდა სტადიონზე.

14 მაისს უოლესმა სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე, რომელსაც ჩიკაგოს უნივერსიტეტის 2.000 სტუდენტი დაესწრო.

15 მაისს მიჩიგანის უნივერსიტეტის 5.000 სტუდენტი ენ არბორში დაესწრო მის გამოსვლას. იმავე დღეს დეტროიტში მის გამოსვლას დაესწრო 5.000 კაცი. ყველა ამ გამოსვლის დროს შენობები გაჭედილი იყო ხალხით და ათასობით ადამიანმა ვერ შესძლო დასწრება.

მოგზაურობის კულმინაციური პუნქტი დღემდე იყო ლოს-ანჟელოსი, სადაც უოლესმა სიტყვა წარმოსთქვა გილმორის სტადიონზე 27.000 კაცისაგან შემდგარი აუდიტორიის წინაშე მას შემდეგ, რაც სტადიონ „ჰოლივუდ ბოულის“ ადმინისტრაციამ მის შეხედულებათა გამო უარი უთხრა უოლესს დაეთმო სტადიონი გამოსასვლელად.

ამ თვის დამლევს უოლესის გამოსვლები დასახულია ოკლენდში, სიეტლსა და სხვა დასავლეთ ქალაქებში. უოლესის გამოსვლათა უმეტესობას აწყობს ორგანიზაცია „ამერიკის პროგრესული მოქალაქენი“.

ის ფაქტი, რომ უოლესის გამოსვლას ხალხის უდიდესი მასები ესწრება, უკვე პოლიტიკურ კომენტარებს იწვევს. ჩიკაგოში უოლესის გამოსვლის შემდეგ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ჩიკაგოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, როგორც ბევრნი ვარაუდობენ, უოლესის გამოსვლები გავლენას მოახდენენ 1948 წლის არჩევნებზე.

ფრანგი ხელისუფალნი ავსტრიაში აფერხებენ საბჭოთა მოქალაქეების დაბრუნებას სამშობლოში

ვენა, 21 მაისი. (საკდესი). ავსტრიის ოკუპაციის ფრანგულ ზონაში სამშობლოში დაბრუნებას ელოდება რამდენიმე ათასი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც იქ მოხვდნენ ომის შედეგად. ფრანგი საოკუპაციო ხელისუფალნი, ფრანგი და საბჭოთა მოქალაქეების ურთიერთ რეპატრიაციის შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მიუხედავად, არათუ ხელს უწყობენ საბჭოთა მოქალაქეების დაბრუნებას სამშობლოში, არამედ ყოველმხრივ აფერხებენ ამას. რეპატრიაციის დარგის საბჭოთა ოფიცრებს უარს ეუბნებიან ფრანგთა სამხედრო სარდლობის კონტროლქვეშ მყოფ ბანაკებში შესვლაზე. იმ საბჭოთა მოქალაქეებს შორის, რომლებიც სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ, ეწევიან ანტისაბჭოთა პროპაგანდას, რომლის მიზანიცაა უარი ათქმევინონ საბჭოთა ადამიანებს სამშობლოში დაბრუნებაზე. მთელ რიგ შემთხვევებში ამ პროპაგანდას თან ახლავს მუქარა და დამინება დანაშაულებრივი ელემენტების მხრივ, რომლებსაც იყენებენ როგორც „პროპაგანდისტებს“. ბანაკებში დაუსჯელად ეწევიან დანაშაულებრივ საქმიანობას თეთრემიგრანტული ორგანიზაციები, აგრეთვე სამხედრო დამნაშავენი, რომლებიც ხშირად შედიან ბანაკების ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობაში. აქ აღნიშნავენ, რომ ისეთი ანტისაბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობის შედეგად, როგორიცაა „უკრაინელთა ინსბრუკის საოლქო კომიტეტი“, „რუსი ემიგრანტების გაერთიანება“ და მთელი რიგი მათი მსგავსნი, საბჭოთა მოქალაქეებს ბანაკებში შექმნილია ვითარება, როცა საბჭოთა მოქალაქეებს არ შეუძლიათ აშკარად განაცხადონ სამშობლოში დაბრუნების სურვილიც კი. მაგალითად, ლანდეკისა და კუფშტაინის ბანაკებში, სადაც თავმოყრილია 3.000-მდე საბჭოთა მოქალაქე და სადაც ბანაკთა ადმინისტრაციულ პერსონალში არის სამხედრო დამნაშავეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მარტო სამშობლოში დაბრუნების სურვილის გამოთქმისათვის საბჭოთა მოქალაქეები რეპრესიებს განიცდიან, საპყრობილეშიც კი სვამენ მათ.

იტალიაში მთავრობის კრიზისის გამო

პარიზი, 23 მაისი. (საკდესი). დღეს დილით მთავრობის მეთაურმა დე ნიკოლამ განაახლა კონსულტაციები მთავრობის კრიზისის გადაწყვეტის მიზნით. დე ნიკოლამ მიიღო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ტერაჩინი. დე ნიკოლასთან საუბრის შემდეგ ტერაჩინიმ განაცხადა, რომ დღეს უკვე საქმე ეხება არა პიროვნებებს, არამედ პარტიებს და რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ახალი მთავრობის შედგენისათვის.

შემდეგ დე ნიკოლამ მიიღო დე გასპერი, რომელმაც ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი დარბაზობა არ არის დაკავშირებული კრიზისთან და რომ მან პრეზიდენტს სთხოვა ნება დართოს მოიწვიოს მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა იმ საკითხთა განსახილველად, რომლებიც არ შეიძლება გადაიდოს ახალი მთავრობის შედგენამდე.

დე გასპერის შემდეგ დე ნიკოლამ მიიღო ბონომი.

დე ნიკოლასთან საუბრის შემდეგ ბონომიმ განაცხადა, რომ დე ნიკოლა და ის მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნიტისა და ორლანდოს ცდების ჩაფუშვის გამო დამოუკიდებლებს აღარ შეუძლიათ იქონიონ ახალი კაბინეტის შედგენის შესაძლებლობის იმედი.

ბონომისთან საუბრის შემდეგ დე ნიკოლამ მიიღო გრაფი კარლო სფორცა და მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე პარი.

ტრუმენმა ხელი მოაწერა საბერძნეთსა და თურქეთისათვის დახმარების გაწევის კანონს

ნიუ-იორკი, 22 მაისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ტრუმენმა ხელი მოაწერა საბერძნეთისა და თურქეთისათვის დახმარების გაწევის კანონს.

იაპონიის პრემიერ-მინისტრად არჩეულია კატაიამა

ლონდონი, 23 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, დღეს იაპონიის პარლამენტმა ხმის დიდი უმრავლესობით იაპონიის ახალ პრემიერ-მინისტრად აირჩია სოციალისტური პარტიის ლიდერი ტეცუ კატაიამა.

სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე გაშენებულმა პარკმა დაამშვენა დედაქალაქის ხედი. ბაღი, რომლის ხშირი სტუმრებიც საბავშვო ბაგებიდან სისტემატურად გამოყვანილი ბავშვები არიან, აჭრელებულია ყვავილებით. მხიარულად და ხალისიანად ატარებენ აქ პატარები დროს. სურათზე:—კიროვის რაიონის მე-19 საბავშვო ბაგის ბავშვები ბაღში.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ზ უ გ დ ი დ ი

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

ჩამოყალიბდა მეგრული, აფხაზური, სვანური, აჭარული და გურული სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი 60 კაცის შემადგენლობით, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ი. კალანდია. ანსამბლის რეპერტუარშია სიმღერები სტალინზე, ბერიაზე, საბჭოთა საქართველოს ჰიმნი, სიმღერა მხედრებზე, აჭარული მაყრული.

„და-ძმა“

ზუგდიდის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. გუნიას პიესა „და-ძმა“, რომელიც დადგა რეჟისორმა ს. ყვინჩიამ. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ახალგაზრდა მხატვარს დ. ჯიჭონაიას, მუსიკალური—თ. პატარაიას. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები მ. აჭარაძე, შ. მოსია, მ. ესართია, ა. როგავა, ვ. მაღლაკელიძე, შ. ბარქაია, ვ. კემულარია, გ. კვაჭაძე, რ. კინწურაშვილი და ქ. წვერავა.

სპექტაკლმა მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

კურორტების პირდაპირი სატელეფონო კავშირი მოსკოვთან

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ საკურორტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით მოაწყო საქართველოს საკავშირო მნიშვნელობის კურორტების პირდაპირი სატელეფონო კავშირი მოსკოვთან. უკვე რამდენიმე დღეა, რაც გაგრა, ხოსტა, ბათუმი, ქობულეთი, აბასთუმანი, ბორჯომი, ფსირცხა, წყალტუბო მოსკოვთან ტელეფონით დაკავშირებული არიან.

ახალი მაღაზია

საფეიქრო-სამკერვალო სარეწაოთა კავშირმა, რომელიც სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შედის, კომინტერნის ქუჩაზე გახსნა ლამაზად მოწყობილი ახალი მაღაზია. მაღაზიაში გამოტანილია მხოლოდ ის ფართო მოხმარების საქონელი, რომელსაც სარეწაო კოოპერაციის სისტემა ამზადებს.

მაღაზიაში აქვთ სხვადასხვა ასორტიმენტის ტრიკოტაჟი, წყალგაუვალი მოსასხამები, ტანსაცმელი, საბავშვო ფეხსაცმელი, საკანცელარიო საქონელი, ალუმინის ჭურჭელი, სატუალეტო და სარეცხი საპონი, ქალთა მორთულობა, თავსახურავები, სასურსათო ჩანთები და მრავალი სხვა ასორტიმენტის საქონელი.

მხატვრული ქოლგები

არტელმა „მკერავთა შრკავშირებამ“ აითვისა ახალი ტიპის მხატვრულად გაფორმებული ლამაზი ქოლგების წარმოება. არტელი უახლოეს დღეებში მასობრივად გამოუშვებს აბრეშუმის ქსოვილისა და ბამბუკისაგან დამზადებულ ასეთ ქოლგებს.

საზაფხულო ბანაკები რკინიგზელთა ბავშვებისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირების საგზაო კომიტეტმა ღონისძიებანი დასახა რკინიგზელთა ბავშვების მომსახურებისათვის საზაფხულო სეზონში.

10 ივნისიდან სანატორიუმის ტიპის ბანაკი გაიხსნება წაღვერში, სადაც ორ ცვლად დაისვენებს 260 ბავშვი. ჩვეულებრივი ტიპის ბანაკები გაიხსნება 20 ივნისს ბაკურიანსა და სოჭში.

კიროვაკანში 20 ივნისს გაიხსნება პიონერთა ბანაკი, სადაც სეზონში დაისვენებს 400-მდე რკინიგზელთა ბავშვი.

გააშენეს ეთერ-ზეთოვანი მცენარეები

საქართველო მდიდარია ეთერ-ზეთოვანი მცენარეებით, რომელთაც დიდი გამოყენება აქვთ კვების მრეწველობაში — გამაგრილებელი წყლებისა და მაგარი სასმელების, პარფიუმერიაში — ნელსაცხებლების, მედიცინაში—წამლების დასამზადებლად და სხვ.

ეთერ-ზეთოვანი მცენარეები განსაკუთრებით კარგად ხარობს აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე.

მაისში ლაგოდეხის, თელავისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეებმა დაიწყეს კაზანლიკის ვარდის კრეფა. 20 მაისისათვის ხულ დამზადებული იყო 650 ცენტნერი ვარდის ფოთოლი.

გაცხოველებით მიმდინარეობს ეთერ-ზეთოვანი კულტურების გაშენება კოლმეურნეობებში. ლაგოდეხის, თელავის, ყვარლის, მარნეულისა და გულრიფშის რაიონების კოლმეურნეობებმა 435 ჰექტარზე გააშენეს გერანისა და ბაზილიკის პლანტაციები. მარტო ლაგოდეხის რაიონმა ბაზილიკი და გერანი 183 ჰექტარზე დარგო.

ც ე კ ა ვ შ ი რ ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო ქ ს ე ლ შ ი

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ენერგიულად მუშაობს კოოპერაციული ვაჭრობის ფართოდ გაშლისათვის. რესპუბლიკის დედაქალაქსა და მუშათა დაბებში ცეკავშირს დღემდე გახსნილი აქვს 190-ზე მეტი სავაჭრო მაღაზია და ფარდული. მარტო თბილისში მუშაობს 16 საპროდუქტო მაღაზია, 8 ფარდული, 3 რესტორანი, 4 სასაუზმე. უახლოეს დროში დამატებით გაიხსნება 2 საჩვენებელი საპროდუქტო მაღაზია. პროდუქტების მარაგით სავაჭრო ქსელის უზრუნველსაყოფად ცეკავშირი ყოველდღე იღებს ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვან საქონელს.

თბილისში პროდუქტების შემოზიდვის მეორე კვარტალის გეგმა ცეკავშირმა თვენახევარში შეასრულა. განზრახულია კვარტალის ბოლომდე გეგმის გადამეტებით შემოზიდულ იქნას 18 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

სახელგამმა შ. რადიანის რედაქციით გამოსცა ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები. წიგნში შეტანილია „მარავანდედი“, „ცოდვა სიჭაბუკისა“, „პირიმზე“, „დედოფალი ბიზანტიისა“. წიგნი შეიცავს 443 გვერდს და ღირს 26 მანეთი.

გამოვიდა ეგნატე ნინოშვილის ნოველები და მოთხრობები დ. ბენაშვილის რედაქციით. წიგნი შეიცავს 163 გვერდს და ღირს 8 მანეთი.

საბლიტგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

მარიკა მიქელაძე — „თეთრი სახლი“ (საბავშვო პოემები). წიგნის რედაქტორია ა. შენგელია;

ქ. გოგიაშვილი — „ჭაჭაფხული“ ა. შენგელიას რედაქციით. წიგნი შესდგება სამი ნაწილისაგან: ლექსები, ზღაპრები, იგავები;

რ. კიპლინგი — „რიკი-ტიკი-ტავი“, თარგმანი ინგლისურიდან მერი იანქოშვილისა და ნათელა კემულავასი. წიგნის რედაქტორები არიან ი. ტატიშვილი და ა. შენგელია;

ანატოლ ფრანსი — „კრენკებილი“, ფრანგულიდან თარგმნილი იროდიონ ქავჟარაძის მიერ. წიგნის რედაქტორია გ. ქიქოძე.

„ტექნიკა და შრომამ“ გამოსცა პ. მეტრეველის „ჩარლზ დარვინი“. წიგნი შეიცავს 46 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

25 მაისს

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — მიკროფონთან დოცენტი ნ. ცომაია, თემა: „საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის 15 წლისთავი“. 10.30 — ამხ. ო. ეგაძის საუბარი თემაზე: „თანამეგობრობის დიადი მაგალითი“. 12.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. გ. ნახუცრიშვილის პიესა „პატარა მებრძოლების“ რადიოდადგმა. 13.20 — ლიტერატურულ-დრამატიული გადაცემა. 13.55 — ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი ანსამბლის კონცერტი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი. 17.40 —გადაცემა უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის. 18.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 19.15 —საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი მ. ბოჩხიძე. 21.20 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 21.55 — ქართული მუსიკის კონცერტი. 23.10—ლიტერატურულ-დრამატიული გადაცემა. სცენები სუმბათაშვილის პიესიდან „ლალატი“.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

23 და 24 მაისს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა ფეხბურთში საკავშირო პირველობის გათამაშების მეხუთე კალენდარული დღის მატჩები.

23 მაისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „კრილია სოვეტოვის“ მოსკოვისა და კუიბიშევის ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 2:1.

24 მაისს მინსკში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი მოსკოვის „დინამო“ შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:0 მოსკოვის „დინამოს“ სასარგებლოდ.

ამავე დღეს მოსკოვში „სტალინეცის“ სტადიონზე თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთელთა გუნდები. არმიელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს პირველი გამარჯვება. მათ მატჩი მოიგეს ანგარიშით—3:1.

საინტერესოდ ჩატარდა შეხვედრა ლენინგრადში სსრ კავშირის 1946 წლის ჩემპიონ მოსკოვის „ცდკასა“ და ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. პირველ წუთებში უპირატესობა არმიელ ფეხბურთელთა მხარეზე იყო და მათ კიდევაც შესძლეს ორი ბურთის გატანა ლენინგრადელთა კარში. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ლენინგრადელებმა „ცდკას“ კარში პირველი საპასუხო ბურთი გაიტანეს. მეორე ტაიმში ლენინგრადელები გამუდმებით უტევდნენ არმიელ ფეხბურთელთა კარს და თამაშის ბოლო წუთებში გაიტანეს მეორე ბურთიც. ამრიგად მატჩი დამთავრდა ფრედ—2:2.

ა. ბოგოლაშვილი

კესხოველის სახელობის საქალაქო პარკკაბინეტში

26 მაისს, საღამოს … საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.**

სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. **ბიწაძე** (ქართულ ენაზე), პროფესორი **აზატიანი** (რუსულ ენაზე).

26 მაისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ **ვ. მელქაძისა** და დოცენტ **ვ. ბახტაძის** კონსულტაცია პოლიტიკურ ეკონომიაში.

27 მაისს, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებლების პოლიტმუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“.**

სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. **ვ. მირიანაშვილი.**

ს ე მ ი ნ ა რ ი

26 მაისს, საღამოს 7 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარი. ლექციას თემაზე: „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ“ წაიკითხავს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორი ნ. ესაიაშვილი.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

25 მაისს: ფალიაშვილის სახელობის — „აიდა“; **რუსთაველის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩი“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვის ემორჩილება დრო“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ძველი მეგობრები“; **მუსიკალური კომედიის** — „არშინ მალ-ალან“; **სანკულტურის** — „მეგობრობა“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „80 დღე დედამიწის გარშემო“; **რუსული** — „ვერაგობა და სიყვარული“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირ გვარდიის მაიორ ჰ. უ. ბენდელიანის სახელობის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალურ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 1947 წლის 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე. სკოლა ამზადებს კადრებს ოფიცერთა საფრენოსნო სკოლებისათვის. სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებენ სიმწიფის ატესტატს. მოსწავლეებს, რომლებიც სკოლას ოქროს მედლით დაამთავრებენ, ენიჭებათ ერთ-ერთი სამხედრო-საჰაერო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტზე უგამოცდოდ შესვლის უფლება.

სკოლაში მიიღებიან ვაჟები, რომელთაც 1946-1947 სასწავლო წელს დამთავრებული აქვთ 8,9 და 10 კლასი ნიშნებით „4“ და „5“.

სწავლება, ტანსაცმელი (საზამთრო და საზაფხულო) და ფეხსაცმელი უფასოა.

რაიონებიდან მოვლინებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და უფასო კვებით. სკოლაში შესვლის მსურველნი გაივლიან სპეციალურ საექიმო და სამანდატო კომისიებს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. ანკეტა (მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში), 2. ავტობიოგრაფია 2 ცალად (საკუთარი ხელით დაწერილი), 3. განათლების მოწმობა ნიშნებით, 4. მეტრიკული მოწმობა, 5. ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, 6. დახასიათება სკოლის დირექტორისაგან, ხოლო ალკკ წევრებისათვის კომკავშირის ორგანიზაციისაგანაც, 7. ორი ფოტოსურათი (უქუდოდ).

ყველა საბუთი განმცხადებელმა პირადად უნდა შემოიტანოს სკოლის კანცელარიაში (ვლებანოვის პროსპ. 155) ანდა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში.

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით 3-06-63 ან უშუალოდ სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირისა, დღის 2 საათიდან 4 საათამდე.

სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის უფროსი კაპიტანი

სუმაროკოვი

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი

25 და 27 მაისს შესდგება ფეხბურთის მატჩები სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაზე ამიერკავკასიის ზონის მე-2 ჯგუფში.

„კრილია სოვეტოვ“ (თბილისი) — „დინამო“ (როსტოვი)

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

მოქალაქე **ვახტანგ ივანეს-ძე შუბაშვილმა**, მცხოვრებმა სიღნაღის ქ. № 19, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ გიორგის-ასულ სოლოღაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **იაკობ ლეონტის-ძე ტრუდკოვმა**, მცხოვრებმა კალინინის ქ. № 76, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვერა პეტრეს ასულ სედოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე პარასკევა, შვილები ნუნუ, თენგიზ, ზურაბ, ძმები ნესტორ, ვალიკო ოჯახებით იუწყებიან **პარმენ სიმონის-ძე ქლიბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-V ზესტაფონში.

შვილები ეთერ, ნინო, გუგული, სიძე დავით ბეჟუაშვილი, შვილიშვილები იუწყებიან **თინათინ წყალობის ასულ რაზიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-V, 8 ს. ორჯონიკიძის, 29. დაკრძალვა 27-V ს. ხელთუბანში.

თბილისის ქალაქის ლომბარდის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ივანე გალუსტოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-V, 5 ს. გოგებაშვილის II შესახვევი, 10.

მეუღლე ნინო, შვილები როსტომ, ელენე, რძალი თინა, შვილიშვილები ჯაბა, თამილა იუწყებიან **ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე აბაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-V ჭალაში (საჩხერის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.78.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.